MES 1 23 0001726564

18/12/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ელენე ცირამუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლა
მაია ლელაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლა
გიორგი გაველიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლა
ზირაქი ჯანელიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლა
სვეტლანა სუხოროკოვა - სკოლის დირექტორი
სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა
რობერტ გელოვანი - სკოლის დირექტორი
სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა
მანანა ლაშხია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლა
შოთა მალაზონია - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის № 2 სკოლა
სერგო ხოზრევანიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა
ეთერ ჩხეიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლა
ნუნუ გულვერდაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს №2 საჯარო სკოლა
ეთერ ქვირივიშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლა
ა) ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:

ბ) ზაზა ჭანტურია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) მარინე შანშიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლა
ა) მარინე ჯანაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) თინათინ ბედუკაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) მანანა ცუცქირიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ნინო კაპანაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) სოფიო მგალობლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ხათუნა კალმახელიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ავთანდილ ცნობილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ხათუნა ქერაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) მარინე ახალაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნათია კურტანიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლა
ა) ია სოხაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ბ) რაინდი როდონაია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) რომანი გაბუნია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ნინო ფორჩხიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) თეა მამულია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) მარიამი ჩიკვაიძე-კეჭაყმაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) მარინე ჩიტაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მზევინარ მჟავანაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) სერგო დურგლიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო კოვზიაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლა
ა) მარიამი ხეთაგაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) მარიამ მატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ინგა ლომაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

დ) ბექა კვაჭაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ეთერი ხობუა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ეკა ბარნაბიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ანგელინა ეფრემიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ია სეხნიაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ევგენი გუგულაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა
ა) თეა გაბელაია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ტარიელ კალანდაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) თეა ნინუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) მანანა სეხნიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) მარინე შანშიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) მაია სიხარულიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მარიამი ღუბელაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) თამარი მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნათია კურტანიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა
ა) ნანა ხუფაცარია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი წევრები:
ბ) ქრისტინე ძიძიგური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ნინო ჭიჭინაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ე) ანა კოკოჩაშვილი- ახვლედიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ეკატერინე გავაშელიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ზ) ნონა გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
თ) ნონა გამხიტაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ი) ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
კ) ეკა ბარნაბიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ლ) მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლა
ა) ციალა გაგნიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) მაია ლაპიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) მაია ქევხიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ციალა ჩიტია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) მარიამ მატიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ვ) ნინო ბერიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) მაკა აფრიამაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ილონა აკობია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) თამარი მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) თამარ ზედგენიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის № 2 საჯარო სკოლა
ა) ნათელა ბასილია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) დავით ჩხაიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ნანა გიორგობიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ნანა კასრაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) სოფიო მგალობლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნინო ბერიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) მაკა აფრიამაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) თამარ მახარაძე-ხოხიაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ირმა შველიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) სოფიო თავაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა
ა) თამარ კეშელევა - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) მელანო ზოიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ხათუნა ტოტოჩავა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ნანა ნიკოლაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ხათუნა წიკლაური - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) მადონა ბობოხიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) მეგი კაპანაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მარიამ ჯვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლა
ა) მამუკა ხამხაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) მანანა ჩიკვაიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ცირა ბრეგვაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ირმა ბოლქვაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნონა ბეროშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ვ) სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) თემურ კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) თამარ მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს №2 საჯარო სკოლა
ა) ლელა ბუბაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ანა კვიჟინაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ირინე თეთვაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) კახაბერ ჩაკვეტაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნანა ჩხიკვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მარინე კვარაცხელია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 4 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის № 2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N 59 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა ქეთევან ნატროშვილმა განმარტა, რომ ვერ მიიღებდა მონაწილეობას აღნიშნული საკითხის განხილვაში, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილ-მერებაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გლდანის ხევში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განმარტა, რომ პირველი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, 1.1 და 1.2 კომპონენტები ასევე შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით. მეორე (სასკოლო კურიკულუმი სამივე პროგრამისათვის) სტანდარტი შეფასდა “მეტწილი“ შესაბამისობით ვინაიდან, 2.2 კომპონენტი (კურიკულუმის განხორციელება) შეფასდა „მეტწილად“. რაც შეეხებოდა მე-3 (სასწავლო პროცესის

ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტს, შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით, ვინაიდან კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა); 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება); 3.6 (საინფორმაციო რესურსები) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. მე-4 სტანდარტი შეფასებული იყო სრული შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა ჰყავდა თუ არა სკოლას ექიმი. სსიპ - ქალაქ თბილისის N 59 საჯარო სკოლის დირექტორმა, მაია ლელაშვილმა განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა ექიმი პედიატრი, რომელიც დარეგისტრირებული იყო გამოცდაზე და მიიღებდა ოჯახის ექიმის კვალიფიკაციას.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო სკოლის შენობის რეაბილიტაცია და რა პოზიცია ჰქონდა სკოლის წარმომადგენელს აღნიშნული საკითხის მიმართ. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ჰქონდათ მიწერილობა და ელოდებოდა პასუხს, ხოლო სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით განმარტა, რომ საფრთხის შემცველი დეტალები აღარ არსებობდა და გაკვეთილის ჩატარება უსაფრთხოდ შეიძლებოდა.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ დააკმაყოფილეს ის რეკომენდაციები, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა სსმ მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის, კერძოდ ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალისტები. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გაითვალისწინეს და გამოცხადებული ჰქონდათ კონკურსი.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა სკოლას განუსაზღვრა რჩევები, კერძოდ ხელშეკრულებებში აესახა შრომის ანაზღაურების ოდენობა და ბრძანებებში მიეთითებინა, ბრძანების ავტორი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N 59 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10

წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N 59 საჯარო სკოლას (ს/კ: 209469314) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, გლდანის რაიონი/გლდანის ხევი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, გლდანის რაიონი/გლდანის ხევი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, გლდანის რაიონი/გლდანის ხევი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 სტანდარტები.

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის პირველ დეკემბრამდე, კერძოდ, კანონმდებლობით განსაზღვრული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, კვალიფიციური პერსონალის ექიმის პოზიციაზე დასაქმების, ვებ-გვერდის ამოქმედებისა და მასზე ინფორმაცის ქართულ ენაზე განთავსების, დოკუმენტაციის წარმოდგენა.

2. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 ოქტომბერს. სკოლას ჰქონდა ორი შენობა სოფელ ნოქალაქევსა და თმოგვშიზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 400 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განმარტა, რომ სოფელი ნაქალაქევისა და თმოგვის სკოლები იყო შერწყმული, შესაბამისად სკოლას ჰქონდა ორი შენობა.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა პირველივე ეტაპზე ჩართული იყო „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში და მასწავლებლები აქტიურად ამკვიდრებდნენ თანამედროვე მიდგომებს სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, სკოლის ძლიერი მხარე STEM პროგრამები იყო.
ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა განმარტა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი სამივე პროგრამისათვის), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა, 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) კომპონენტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვის პრობლემის საკითხი და შემუშავებული იყო თუ არა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ნაქალაქევის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გიორგი გაველიძემ განმარტა, რომ სკოლის მხირდან არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ, სკოლამ შეათანხმა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

შესაბამის ორგანოებთან, ხოლო გამწოვის საკითხი ამ ეტაპზე მოგვარებული არ იყო ფინანსური პრობლემიდან გამომდინარე, თუმცა ამ მიმართულებით სკოლას გადადგმული ჰქონდა გარკვეული ნაბიჯები.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, რამდენად იყო განვითარებული ინკლუზიური გარემო სკოლაში. ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა განმარტა, რომ. თუმცა, სკოლას არ ჰყავდა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -12
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლას (ს/კ: 223104307) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნაქალაქევი/ სოფელი თმოგვი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნაქალაქევი/ სოფელი თმოგვი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი თმოგვი

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის პირველ დეკემბრამდე, კერძოდ, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვის დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

3. სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია სოხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 50 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 50 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განმარტა, რომ პირველი, მე-2 (დაწყებითი საფეხურის პროგრამა) და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მე-2 (საბაზო საფეხურის პროგრამა) შეფასდა „მეტწილად“, ვინაიდან კომპონენტი 2.2 (კურიკულუმების განხორციელება) შეფასდა „მეტწილად“; მე-3 სტანდარტი ასევე შეფასდა „მეტწილად“. 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) კომპონენტები შეფასდა“ მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2021 წელს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ისაუბრა სკოლაში განხორციელებულ ერთ-ერთ პროექტზე, სახელად „გიორგი სააკაძე“ და აღნიშნა, რომ იმ რესურსებით, რომელიც მოსწავლეებს ჰქონდათ, ვერ გააკეთებდნენ მსგავს პროექტს. ეს გახლდათ ერთ-ერთი გაკვეთილის წყაროს ანალიზი.
საბჭოს წევრი ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ უმჯობესი იქნებოდა სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი ერთმანეთთან შესაბამისობაში მოდიოდეს, გარდა ამისა, გადასახედი იყო სკოლის ფილოსოფიისა და სტრუქტურის საკითხი.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, რამდენად იყო სკოლაში განვითარებული ინკლუზიური გარემო.
ექსპერტმა, ია სოხაძემ განმარტა, რომ მეორე სართულზე განთავსებული იყო ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ერთ-ერთი ნაწილი, რაზეც ხელი არ მოუწვდებოდათ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს, ვინაიდან იქ მისასვლელად არ იყო პანდუსი.
საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა სკოლას განუსაზღვრა რეკომენდაცია, რომ ბიუჯეტში გაეთვალისწინებინათ სოციალური დახმარბების მიმართულება
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლას (ს/კ: 229729032) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

			პროგრამის განხორციელების ენა	(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი ინაშაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი ინაშაური

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის პირველ დეკემბრამდე, კერძოდ, კონკურსის გამოცხადების, ვიდეო სათვალთვალო კამერების მონტაჟის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მოპოვების, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებისა და საგანგებო შტაბის შექმნის, ასევე სწავლებისთვის ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის შესახებ დოკუმენტაციის წარმოდგენა.

4. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 და 20 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა გარდაბანში, სოფელ მუხროვანში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 60 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეთა 50%-ზე მეტი ეთნიკურად არაქართველი იყო და აღნიშნა, რომ ამ მრავალფეროვნებას წარმატებით იყენებდნენ პედაგოგები. გარდა ამისა, სკოლაში განხორციელდა სოციალური პროექტი „მე თუმც არა ვარ სჯულით ქართველი, მაგრამ მინთია სულში ქართული“, რომლის მიზანსაც ქართველი და არაქართველი მოსწავლეების დაახლოება წარმოადგენდა.

ექსპერტმა განმარტა, რომ 1-ლი, მე-2 (დაწყებითი საფეხურის პროგრამა) და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მე-2 სტანდარტი (საბაზო საფეხურის პროგრამა) შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ვინაიდან კომპონენტი 2.2 (კურიკულუმების განხორციელება) შეფასებული იყო „მეტწილად“; რაც შეეხებოდა მე-3 სტანდარტს, შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, მისი 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება), 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) კომპონენტები კი შეფასდა „მეტწილად“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, რომელ წელს იყო სკოლა რეაბილიტირებული და ჰქონდა თუ არა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სკოლას. ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა განმარტა, რომ სკოლის შენობა 2020 წელს აშენდა, ხოლო რაც შეეხებოდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, სკოლას ჰქონდა შესაბამისი ოთახი, თუმცა არ ჰქონდა აღჭურვილობა.

საბჭოს წევრი შალვა მეკრავიშვილი დიანტერესდა რა შინაარსს ატარებდა პროექტი სახელად „მე თუმც არა ვარ სჯულით ქართველი, მაგრამ მინთია სულში ქართული“, ასევე დაინტერესდა საბაზო საფეხურის დასრულების შემდგომ სად შეძლებდნენ სწავლის გაგრძელებას. ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა განმარტა, რომ სკოლის მოწავლეთა 50% გახლდათ არაქართული ეროვნების წარმომადგენელი, შესაბამისად, აღნიშნული პროექტის მიზანს წარმოადგენდა ქართველი და არაქართველი მოსწავლეებისა და თემის დაახლოება. რაც შეეხებოდა საშუალო საფეხურის განათლებას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ახლომდებარე სოფლებში შესაძლებელი იყო საშუალო განათლების მიღება.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, რა გახდა მიზეზი იმისა, რომ სკოლის პორტალზე არ იყო განახლებული ინფორმაცია ატვირთული. სკოლის დირექტორმა სვეტლანა სუხოროკოვამ განმარტა, რომ პორტალის გასაუმჯობესებლად სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა და ეტაპობრივად დაემატებოდა განახლებული ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის საჯარო სკოლას (ს/კ: 226563377) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გარდაბანი, სოფელი მუხროვანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გარდაბანი, სოფელი მუხროვანი

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ლი მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 სტანდარტები.

5. სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა გაბელაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 17 და 18 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სოფელი ეწერაში, მისამართზე - პირველი ქუჩა N1. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 120 მოსწავლე.
მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით საბჭოს წინაშე სკოლამ დააყენა შუამდგომლობა და ითხოვა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 140 მოსწავლით განსაზღვრა. საბჭომ გაიზაირა სკოლის შუამდგომლობა.
ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 140 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ელი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი, სამივე პროგრამისათვის), მე-3 სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტი 3.4 ”მეტწილად” შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, თეა გაბელაიამ აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა თეა გაბელაიამ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლა სხვადასხვა ღონისძიებებით და პროექტებით ხელს უწყობდა არაფორმალური განათლების დანერგვას და განვითარებას. ექსპერტის განცხადებით სკოლაში ფუნქციონირებდა ეკოოთახი, მუზეუმი „ხარათია“, სადაც განთავსებული იყო მოსწავლეების მიერ არქეოლოგიური კვლევების აღმოჩენები.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნაზე და აღნიშნა, რომ დასკვნის თანახმად სკოლის მესამე და მეხუთე კორპუსები ექვემდებარებოდა დემონტაჟს. სკოლის დირექტორმა რობერტ გელოვანმა აღნიშნა, რომ მოცემულ დასკვნაში საუბარი იყო სკოლის ძველ შენობაზე, რომელიც მოცემული დროისთვის დალუქული იყო და არ გამოიყენებოდა სასწავლო პროცესების განხორციელებისთვის. სკოლის დირექტორის, რობერტ გელოვანის განცხადებით 2024 წლის ზაფხულში იგეგმებოდა აღნიშნული შენობის დემონტაჟი.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას (ს/კ : 242735894) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ეწერი, პირველი ქუჩა N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ეწერი, პირველი ქუჩა N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ეწერი, პირველი ქუჩა N1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამები))

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცა და მისი შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, შესაბამის ორგანოსთან შეთანმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა.

6. სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ხუფაცარიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 9 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ წაჩხურაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 60 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 39 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"; მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) დაწყებით საფეხურზე შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო საბაზო საფეხურზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ვინაიდან საბაზო საფეხურზე კომპონენტი 2.2. „მეტწილად" შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. მე-3 სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.5 „მეტწილად" შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ნანა ხუფაცარიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად", ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ექსპერტს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სკოლას მიმღებლობა ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით. ნანა ხუფაცარიამ

აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მაღალი მიმღებლობა. მასწავლებლებმა ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები გაიზიარეს როგორც ვიზიტის დროს, ისე ვიზიტის შემდეგ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი და ექსპერტებს მიმართა კითხვით როგორ მოხდა აღნიშნული სტანდარტის შეფასება. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, ეკატერინე ბარბანიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო ძალიან მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი. ექსპერტის განცხადებით ასევე შთამბეჭდავი იყო უშუალოდ მასწავლებლებთან გასაუბრება.
საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლას სუსტ მხარედ დასახელებული ჰქონდა მოსწავლეთა თვითმმართველობის საკითხი და თვლიდა, რომ ამ კუთხით საჭიროებდა გაძლიერებას. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, გარდა სკოლაში მოსწავლეთა მცირე რაოდენობისა, რაში ხედავდა პრობლემას და რა სახის ინტერვენციებს გეგმავდა პრობლემის აღმოსაფხვრელად. სკოლის წარმომადგენელმა, მანანა ლაშხიამ აღნიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვან საკითხად თვლიდა მშობელთა როლის გაძლიერებას.
სკოლის წარმომადგენლის მანანა ლაშხიას განცხადებით სკოლას მოცემული დროისთვის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა ექსპერტების მიერ 3.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციით განსაზღვრული ცნობები. მანანა ლაშხიას განცხადებით სკოლას მოცემული დროისთვის ჰქონდა მიწერილობა სამინისტროსთან ახალი ლაბორატორიის მოთხოვნასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რომელ წელს იყო სკოლის შენობა რეაბილიტირებული. სკოლის წარმომადგენლის მანანა ლაშხიას განცხადებით სკოლა აშენებული იყო 2021 წელს. საბჭოს წევრი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას ამონაწერი. ექსპერტმა ნანა ხუფაცარიამ განმარტა, რომ სკოლას არ ჰქონდა აღნიშნული ამონაწერი, რის თაობაზეც სკოლას ჰქონდა მიწერილობა შესაბამის სამსახურთან.
საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც ოთახების სიმცირის გამო კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული იყო როგორც ბიბლიოთეკა, ისე საქმის მწარმოებლის სამუშაო სივრცე. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას მოსწავლეებისთვის განკუთვნილი, ცალკე სამუშაო სივრცე. სკოლის წარმომადგენელმა მანანა ლაშხიამ აღნიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ცალკე სამუშაო სივრცე არ არსებობდა და აღნიშნული კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა ნებისმიერ დროს შეეძლოთ მოსწავლეებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას (ს/კ: 235444328) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი წაჩხურა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი წაჩხურა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია); სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი და საბაზო საფეხურის პროგრამები)); სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა).

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის პირველ დეკემბრამდე. კერძოდ, კანონმდებლობით განსაზღვრული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და "უფლების ჩამორთმევის შესახებ" ცნობების, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების და შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვების ამსახველი დოკუმენტაციის, ასევე საჯარო რეესტრიდან ამონაწერისა და შენობა-ნაგებობის სქემის წარმოდგენა.

7. სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N39-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1573 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურისთვის), მე-3 სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტი 3.4 „მეტწილად" შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად", ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ციალა გაგნიძემ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა არაფორმალურ განათლებას. აქტიურად ფუნქციონირებდა არაერთი კლუბი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა მრავალფეროვანი და საინტერესო პროექტები. ექსპერტის განცხადებით სკოლა იყო ადაპტირებული ლიფტით. სკოლაში იყო კეთილმოწყობილი საბუნებისმეტყველო და კომპიუტერების ლაბორატორია.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1573-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლას (ს/კ: 211351348) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1573-ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N39
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N39
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N39

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და მისი შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის პირველ დეკემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა.

8. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათელა ბასილაიამ. ექსპერტმა სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 9 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ სალიბაურში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 350 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.
ნათელა ბასილაიას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი და მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო “მეტწილი” შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს შეფასდა “მეტწილად” შესაბამისად ვინაიდან 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც “მეტწილად” შესაბამისი (სამივე საფეხურის პროგრამისთვის), ხოლო მეოთხე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება მიჩნეულიყო სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. სკოლაში მოქმედებდა ხარისხის მართვის ჯგუფი, ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“. მასწავლებლები ესწრებოდნენ ერთმანეთს გაკვეთილებზე, აძლევდნენ უკუკავშირს. უკუკავშირი აგებული იყო მხარდაჭერაზე, შესრულებული სამუშაოს გაზიარებასა და გაუმჯობესებაზე. ყველა მასწავლებელი, რომელიც გაივლიდა გარედან შემოთავაზებულ ტრენინგს, ნიშნავდა სამუშაო შეხვედრას და გამოცდილებას უზიარებდა კოლეგებს. სკოლის 22 მასწავლებლიდან 2 მენტორი იყო, 12 - წამყვანი, 8 - უფროსი. ექსპერტმა ასევე განაცხადა რომ სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული იყო 10 ცალკე მდგომი შენობა, რომელთაგან მხოლოდ 3 (შენობა #01, 02, 06) გამოიყენებოდა სასწავლო მიზნებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა მიმართა თუ არა სკოლამ შესაბამის ორგანოებს სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნასთან

დაკავშირებით ვინაიდან სამივე შენობა საჭიროებდა ადაპტირებას. სკოლის დირექტორმა, სერგო ხოზრევანიძემ აღნიშნა, რომ მან მიმართა შესაბამის ორგანოებს, რომლებმაც უზრუნველყვეს თანხის გამოყოფა იმისათვის რომ სკოლის ყველა კორპუსში შეიქმნას ინკლუზიური გარემო. დირექტორის განცხადებით მოგვარდა და გამოსწორდა ხარვეზები საბუნებისმეტყველო და კომპიუტერულ ლაბორატორიასთან დაკავშირებით. კერძოდ, სრულად აღიჭურვა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რამდენიმე დღეში კი დასრულდებოდა კომპიუტერული ლაბორატორიის აღჭურვაც.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა აღნიშნა რომ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ დასკვნაში დაფიქსირებული იყო რომ სკოლის ერთ-ერთ შენობას სჭირდებოდა დემონტაჟი. საბჭოს წევრმა სკოლის დირექტორისგან ითხოვა დაზუსტება, მიმდინარეობდა თუ არა სწავლება აღნიშნულ შენობაში. სკოლის დირექტორმა დაადასტურა რომ ეს კონკრეტული შენობა არ გამოიყენებოდა სასწავლი მიზნებისთვის და იყო იზოლირებული.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტი, კვირის საუკეთესო მოსწავლის პრაქტიკასთან დაკავშირებით, სადაც არის შემუშავებული კრიტერიუმები, რომელთაგანაც ერთ-ერთი იყო „ფორმიანობა და ორგანიზებულობა“. საბჭოს წევრმა სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა რა იგულისხმებოდა აღნიშნულ კრიტერიუმში. სკოლის დირექტორმა, სერგო ხოზრევანიძემ აღნიშნა, რომ ეს კრიტერიუმი გულისხმობდა მოსწავლის სპორტულ გაკვეთილებზე, საგაკვეთილო პროცესზე, კონფერენციებზე და სხვა აქტივობებზე დასწრებას შესაბამისი ჩაცმულობით და ორგანიზებით. საბჭოს წევრმა, სკოლის დირექტორს რჩევის სახით განუცხადა რომ დაეკონკრეტებინათ აღნიშნული კრიტერიუმები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლას(ს/კ: 245428951) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის პირველ დეკემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, სამივე შენობისთვის.

9. სსიპ - ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ კეშელავამ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ორ მისამართზე ბათუმი: მამია ვარშანიძის N209 და ზედაღელის ქუჩა N7. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, მამია ვარშანიძის ქუჩა N209-ში მდებარე შენობაში, ხოლო მეორე მისამართზე სკოლა ახორციელებდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. სწავლების ენა იყო ქართული. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 640 მოსწავლეს.

აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 640-მოსწავლისთვის ორ ცვლაში.
თამარ კეშელავას განცხადებით, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"; მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.5 კი შეფასებული იყო „მეტწილი; შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე (ყველა პროგრამისათვის) და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტომასალა და აღნიშნა რომ სკოლის შენობა არ იყო ადაპტირებული და არ ჰქონდა დამონტაჟებული კამერები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტსა და სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა მიმართა თუ არა სკოლამ ინფრასტრუქტურის სააგენტოს აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით, კერძოდ კამერებთან და ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით. ექსპერტმა თამარ კეშელავამ აღნიშნა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდში მიმართა შესაბამის ორგანოებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და ელოდებოდა შესაბამის რეაგირებას. სკოლის დირექტორმა ეთერ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ სკოლამ უკვე უზრუნველყო შენობის ინტერნეტით აღჭურვა, ვიდეო-კამერებთან დაკავშირებით ჰქონდათ მიწერილობა და ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას. რაც შეეხებოდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, დირექტორის განცხადებით, სკოლამ ორივე შენობისთვის უკვე შეათანხმა შესაბამის ორგანოსთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 640-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლას (ს/კ: 248417663) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 640-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბათუმი, მამია ვარშანიძის N209, ზედაღელის ქუჩა N7
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბათუმი, მამია ვარშანიძის N209
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბათუმი, მამია ვარშანიძის N209

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მეოთხე სტანდარტი

საბჭომ 3.1 და 3.4, 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, ორივე მისამართზე არსებული შენობისთვის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნისა და ზედაღელეს N7-ში არსებული შენობისთვის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების მოპოვების, ასევე ზედაღელის N7-ში მდებარე სკოლის შენობაში სამედიცინო კაბინეტის მოწყობის, პირველი სართულის, კიბის უჯრედების და სველი წერტილების ადაპტირების და სკოლის თანამშრომელთა ,,ზოგადი განათლების“ კანონით განსაზღვრული ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა“ და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ,,უფლების ჩამორთმევის“ შესახებ ცნობების, ასევე, დასაქმებული ექიმის მიერ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობის შესახებ.

10. სსიპ - ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 3 და 4 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.
მამუკა ხამხაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. ექსპერტთა მიერ პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ - კომპონენტები 3.1 3.2 3.4 და 3.6 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, შეფასდა „მეტწილად“(ორივე საფეხურის პროგრამისათვის), ვინაიდან 2.2 კომპონენტი შეფასებული იყო „მეტწილად“და მეოთხე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა რომ იგი შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა, როდის მოხდა სკოლის რეაბილიტაცია და იყო თუ არა სკოლის შენობა შესული ექსპლუატაციაში. ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ აღნიშნა, რომ სკოლა აშენდა 2020 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ინფრასტრუქტურის სააგენტოს ერთობლივი პროექტით. სკოლის დირექტორმა, ნუნუ გულვერდაშვილმა ასევე დამატებით ექსპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სკოლამ განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები და ელოდებოდნენ საჯარო რეესტრიდან ამონაწერს.
საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ სად აგრძელებდნენ მოსწავლეები განათლების მიღებას. სკოლის დირექტორმა, ნუნუ გულვერდაშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც მოსწავლეები დაასრულებდნენ საბაზო საფეხურს, იმ შემთხვევაში თუ ოჯახმა არ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი სწავლას აგრძელებდნენ ახლომდებარე სოფლის, კერძოდ ბოგვის საჯარო სკოლაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმდჯომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შესაბამისად მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლას (ს/კ: 230867176) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	თეთრიწყაროს

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			მუნიციპალიტეტი სოფელი საღრაშენი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი საღრაშენი

საბჭომ 2.2, 3.1, 3.2, 3.4 და 3,6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, მტკიცებულებების წარმოდგენა 2.2. კომპონენტთან მიმართებით საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისი რესურსებით აღჭურვისა და სააქტო დარბაზის მოწყობის; 3.1 და 3.2 კომპონენტთან მიმართებით გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარებაზე მიმართული გეგმისა და დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებისა და სკოლაში დასაქმებული პირების კარიერული ზრდის მექანიზმების შემუშავების, 3.4 და 3.6 კომპონენტთან მიმართებით მასწავლებლების პირად საქმეებში კანონმდებლობით განსაზღვრული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, ნასამართლობისა და "უფლების ჩამორთმევის შესახებ" ცნობების წარმოდგენის, პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმების შემუშავების, ასევე ხარისხის მართვის ჯგუფის საქმიანობის დამადასტურებელი მასალების/შენახვის მექანიზმების შემუშავებისა და სისტემატიზაციის, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის და რეფერირების წესის შემუშვებისა და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის, ასევე ვებგვერდის ამოქმედებისა და ინფორმაციის ქართულ ენაზე განთავსების შესახებ.

11. სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 5 და 6 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა საგარეჯოში, მისამართზე - დავით აღმაშენებლის ქ. N19. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 500 მოსწავლეს. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500 მოსწავლისთვის.

ლელა ბუბაშვილი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. ექსპერტთა მიერ პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4 და 3.6 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა, მეორე (სამივე პროგრამისათვის) და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

სკოლის დირექტორმა, ეთერ ქვირივიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ხარვეზებზე სკოლამ უკვე გადმოაგზავნა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლამ უკვე მიიღო დაფინანსება სახანძრო უსაფრთხოების საკითხების მოსაგვარებლად და ჰქონდა ასევე მიწერილობა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით, რაზეც ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირასსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არ მიიჩნა მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 238146172) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. N19
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. N19
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. N19

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის პირველ დეკემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა, ასევე სკოლამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 20:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა